MEDVISIT GLOBAL

მედვიზიტ გლობალი წარმოადგენს სუროგაციისა და დონაციის საერთაშორისო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა უნაყოფობის მკურნალობას ისეთი დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა: ხელოვნური განაყოფიერება, სუროგაცია და დონაცია.

# საკონტაქტო ინფრომაცია


ადამ მიცკევიჩის 27ბ
თბილისი, საქართველო

INFO@MEDVISITGLOBAL.COM
WWW.MEDVISITGLOBAL.COM

+995 599 56 67 61

/surogaciadonatsia/

@medvisitglobal




# მედვიზიტ გლობალი

სუროგაციისა და კვერცხუჯრედის დონაციის საერთაშორისო ცენტრი

## რა არის სუროგაცია?

სუროგაციის  დროს სუროგატი დედა ნაყოფს მუცლად ატარებს და ბავშვს ბიოლოგიური მშობლებისთვის აჩენს. განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონი სუროგატი დედის საშვილოსნოში შეჰყავთ. ამ შემთხვევაში არა სუროგატი დედის, არამედ მომავალი დედის ან დონორის კვერცხუჯრედს იყენებენ, შესაბამისად, სუროგატ დედასა და ნაყოფს შორის არ არის არანაირი გენეტიკურ/ბიოლოგიური კავშირი.

## რა შემთხვევაშია საჭირო სუროგაცია?

როდესაც ორსულობა ან/და მშობიარობა, ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეუძლებელი ან სახიფათოა, საჭირო ხდება სუროგაციის პროგრამის გამოყენება და მკურნალობის პროცესში სუროგატი დედის ჩართვა.

## კონფიდენციალურობა

სუროგატი დედის მონაცემები მკაცრადაა დაცული მესამე პირთა წინაშე.

## რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სუროგატი დედა?

იმისათვის, რომ გახდეთ სუროგატი დედა, აუცილებელია:

ა) იყოთ 19-დან 37 წლამდე;
ბ) არ მოიხმარდეთ ნარკოტიკულ/ალკოჰოლურ საშუალებებს;
გ) გქონდეთ წარმატებული ფეხმძიმობის გამოცდილება;
დ) ფეხმძიმობა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს თქვენს სიცოცხლეს;

## სამედიცინო გამოკვლევები

მანამ, სანამ სუროგაციის მსურველი პროგრამაში ჩაერთვება, მას უტარდება შემდეგი სამედიცინო ანალიზები გამოკვლევები:

- სისხლის ჯგუფის/რეზუსის განსაზღვრა;
- სწრაფი ტესტები ინფექციებსა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე;
- ჰორმონალური ანალიზები (TSH, FT4, PRL)
- სისხლის საერთო ანალიზი;
- შარდის საერთო ანალიზი;
- ნაცხის ბაქტერიოსკოპია;
- გულ-მკერდის მამოგრაფია;
- ენდომეტრიუმის შეფასება (საშვილოსნოს მონიტორინგი)

## ხელშეკრულება სუროგატ დედასა და სააგენტოს შორის

თუ ექიმი პოზიტიურად შეაფასებს კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობას, სუროგატ დედასა და სააგენტოს შორის იდება ხელშეკრულება. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი რჩება სააგენტოში, ხოლო მეორე სუროგატ დედასთან. ხელშეკრულების ხელმოწერამდე, სუროგატი დედა ეცნობა ხელშეკრულების პირობებს.

## ხელშეკრულება სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს შორის

აუცილებელია სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს შორის გაფორმდეს ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება. აღნიშნულის გარეშე ვერ მოხდება ემბრიონის გადატანა.

## სამედიცინო და ნოტარიული ხარჯები

სუროგატი დედა თავისუფალია სამედიცინო და ნოტარიუსის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.